

**სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის**

**წარმომადგენლობითი საბჭოს**

დადგენილება N 1

2021 წლის 10 აგვისტო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის N05/91 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-15 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე,

**წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 1 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი დადგენილება. დანართი #1
2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სპიკერი



დავით ჯანელიძე

საფუძველი: სსიპ - საქართველოს შოთა  
რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
გადაწყვეტილება

/ სხდომის ოქმი № 7; 10 აგვისტო 2021წ. /

## სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის №11

### დადგენილება

ქ. თბილისი  
06.08.2021

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:


I. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 30-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესს დაემატოს 2.4.<sup>1</sup> პრიმა მუხლი შემდეგი რედაქციით:

სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულებით, ასისტენტის თანამდებობის დაკავების მსურველი უნდა იყოს არანაკლებ მაგისტრანტი და ფაკულტეტის საბჭოს წარმოდგინოს შესაბამისი მიმართულების ლიდერის, ან დეკანის რეკომენდაცია. ფაკულტეტის საბჭო განხილვის შემდეგ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს შესაბამის კანდიდატს ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად. სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულებით, ასისტენტის თანამდებობის დაკავებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია და დამატებითი საკითხები განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

II. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესში შეტანილი ცვლილება დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

III. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



გიორგი შალუტაშვილი